ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **18-0117363565**

თარიღი: **29.12.2017**

ადრესატი:
შპს ლიდერ გრუპი
საიდენტიფიკაციო ნომერი: 205275165
მისამართი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურმა განიხილა, თქვენი 2017 წლის 10 ნოემბრის #10/01173142485-18 წერილი და თანდართული დოკუმენტაცია (ექსპერტ ქ. თავართქილაძის, ჯ. ლომიძის და ს. ხმალაძის 2017 წლის 03 ოქტომბრის #02-22/406 საექსპერტო დასკვნა, არქიტექტურის სამსახურის გადაწყვეტილება #3621629), რომლითაც ითხოვთ თქვენს კუთვნილ ტერიტორიაზე (ქ. თბილისი, ნუცუბიძის მე-4 მ/რ, #13 კორპუსის მიმდებარედ საკ/კოდ 01.14.02.010.079) ხე-მცენარეების მოჭრა/გადარგვის ნებართვას.

გაცნობებთ, რომ ,,ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 თავის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-55 დადგენილებით დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესი"-ს მე-3 თავის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე (ქ. თბილისი, ნუცუბიძის მე-4 მ/რ, #13 კორპუსის მიმდებარედ საკ/კოდ 01.14.02.010.079) ხილ-კენკროვანი მცენარეების (ალუბალი, ვაზი, ქლიავი, ბროწეული, ვაშლი, ლეღვი, ბალი, მსხალი, ატამი, კარალიოკი, ზღმარტლი, ჭერამი) მოჭრა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემულ ნებართვას არ საჭიროებს.

ასევე გაცნობებთ, რომ თუ ტერიტორიაზე ნებართვის გარეშე, ხილ-კენკროვანის გარდა მოიჭრება სხვა სახეობის ხე-მცენარე, თქვენს მიმართ გატარებული იქნება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

რაც შეეხება ბუჩქოვანი მცენარეების გადარგვის საკითხს გაცნობებთ, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-55 დადგენილებით დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესი"-ს მე-2 თავის 21-ე მუხლის შესაბამისად და თქვენს მიერ წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, სამსახური თანახმაა 1 ძირი ვარდი (#11), 1 ძირი თრიმლი (#15), 8 ძირი პალასის ხეშავი (#52,53,58,60,63,67,69,76), 16 ძირი გრაკლა (#49,50,51,54,64,65,68,71,72,73,75,77,79,80,81,82), და 15 ძირი ძეძვი (#40,41,42,43,44,45,46,47,48,57,59,61,70,74,78) გადაირგოს თქვენსავე ტერიტორიაზე (ქ. თბილისი, ნუცუბიძის მე-4 მ/რ, #13 კორპუსის მიმდებარედ საკ/კოდ 01.14.02.010.079) ნებართვის მიღებიდან პირველსავე არასავეგეტაციო პერიოდში, აგროტექნიკური ნორმების დაცვით და ჩვენი სამსახურის სპეციალისტის ზედამხედველობით.

მწვანე ნარგავების გადარგვის ნებართვა გაიცემა 1 წლის ვადით, ხოლო გადარგული მწვანე ნარგავების მოვლის სამუშაოების ხანგრძლივობა განისაზღვრება 3 წლის ვადით.

ნებართვის მიმღები ვალდებულია გადარგვის დაწყების თარიღი და დროის ინტერვალი წერილობით აცნობოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურს ზედამხედველობის გაწევის მიზნით (გადარგვის დაწყებამდე - მინიმუმ 2 სამუშაო დღით ადრე). წინააღმდეგ შემთხვევაში მწვანე ნარგავების გადარგვა ჩაითვლება უკანონოდ,

გადარგვის განხორციელების შემდეგ, ყოველ კვარტალში ერთხელ წარმოდგენილი უნდა იქნას გადარგული ხე-მცენარეების მდგომარეობის შესახებ ანგარიში და შესაბამისი ფოტომასალა.

აქვე გაცნობებთ, რომ გადარგული მწვანე ნარგავების 1 წლის ვადაში გახმობის შემთხვევაში დაგეკისრებათ ბიომრავალფეროვნებაზე მიყენებული ზიანის-აღდგენითი ღირებულების გადასახადი.

ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო
სამსახური - სამსახურის უფროსი

გიგა გიგაშვილი